ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 14 იანვარი, 2018 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: „ლიბერალური აკადემია თბილისი“-ს ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
2. ლაშა ტუღუში - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - თავისუფალი არჩევანი
4. ეკა გეგეშიძე - ჟუნიორ ეჩივმენტი საქართველო
5. მანანა დევიძე - ფონდი კავკასიის ეკოლოგია
6. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
7. ნინო ხუხუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო

განსახილველი საკითხები:

1. მაღალი დონის კონფერენციის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები
2. შეხვედრები თემატურსამუშაოჯგუფებთან
3. სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესები
4. დასხვა.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნათია კუპრაშვილმა. მან საკოორდინაციო საბჭოს წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

პირველ საკითხად, საკოორდინაციო საბჭომ იმსჯელა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორუმის მიერ გამოცხადებულ ეროვნული პლატფორმების რეგრანტინგზე. 2018 წ. 28 დეკემბერს გამართულ საბჭოს შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველ პლატფორმის წევრ ორგანოზაციებს 2019 წ. 10 იანვრამდე სამდივნოსთვის უნდა წარმოედგინათ ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ,2018 წ. 6 თებერვლის საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილი 4 კრიტერიუმის მიხედვით. ასევე განმცხადებელს უნდა გამოეგზავნაპროექტის მოკლე დასაბუთება/ხედვა.სულ შემოვიდა ორი განაცხადი შემდეგი ორგანიზაციებიდან: „ლიბერალური აკადემია - თბილისი“ და რეგიონული ორგანიზაცია- ასოციაცია „დეა“. საკოორდინაციო საბჭომ დეტალურად განიხილა შემოსული განაცხადები. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთმა განმცხადებელმა, კერდძოდ ასოციაცია „დეა“-მ უკან გაიწვია თავისი განაცხადი, ვინაიდან მას ეგონა, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში კოორდინაციას გაუწევდა მხოლოდ პლატფორმის რეგიონალურ საქმიანობას.

საკოორდინაციო საბჭომ იმსჯელა კენჭისყრის პროცედურულ ნაწილზე და დაადგინა შემდეგი სტანდარტები. საქართველოს ეროვნული პლატფორმა აერთიანებს ხმის უფლების მქონე 179 წევრ ორგანიზაციას. კენჭისყრის ჩატარების დროს გამოყენებული იქნება ის პროცედურა, რომელიც დადგენილია საერთო კრებისთვის. კერძოდ, იმისთვის, რომ კენჭისყრის პროცედურა ჩაითვალოს ლეგიტიმურად საჭირო იქნება პლატფორმის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევრზე მეტმა მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრის პროცესში, ხოლო გადაწყვეტილება კენჭისყრაში მონაწილეთა უბრალოდ უმრავლესობით მისაღებოდა. ინკლუზიურობის პრინციპის გათვალისწინებითა და მიმდინარე პროცესში პლატფორმის წევრთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, კენჭისყრა გაგრძელდება ელექტრონულად. კენჭისყრის შედეგების დათვლა და შეჯამება დაევალა საკოორდინაციო საბჭოს წევრს და პირველი ჯგუფის კოორდინატორს, ქალბატონ მანანა ბიწაძე-მიქელაძეს.

მეორე საკითხად საკოორდიანციო საბჭოს წევრებმა განიხილეს მაღალი დონის კონფერენციის ჩატარებასთნად დაკავშირებული საკითხები. საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა გამოაგზავნეს თავიანთი შეხედულებები და მოსაზრებები კონფერენციის დღის წესრიგთან დაკავშირებით, და მოხდა ამ ცვლილებების შეტანა და დღის წესრიგის სამუშაო ვერსიის განახლება. ასევე განისაზღვრა სამომავლო გეგმები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს კოფერენციის მაღალ დონეზე ჩატარება.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე , საქართველოს ეროვნულმა კოორდინატორმა, ლაშა ტუღუშმა ისაუბრა სასამართო სისტემაში არსებულ პრობლემებზე. ასევე მან გააჟღერა ინფორმაცია, რომ პირველი სამუშაო ჯგუფის წევრებს შეხვდებიან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლეწევრები - ანა დოლიძე და ნაზი ჯანეზაშვილი. ისინი გააცნობენ პლატფორმის წევრ ორგანიზაციებს იმ საკანონმდებლო წინადადებას, რომელიც დაარეგისტრირეს საქართველოს პარლამენტში.

შეხვედრსი ბოლოს, მეორე ჯგუფის კოორდინატორმა, ეკა გეგეშიძემ, საკოორდინაციო საბჭოს წევრებს წარუდგინა წინადადება სესხის საგრანტო ფონდის შექმნის შესახებ. აღნიშნულ წინადადებაზე იმსჯელებს მეორე სამუშაო ჯგუფი.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე